სახბანკის კასპის განყოფილება პოლიტიკურ მასობრივ მუშაობას არ აწარმოებს მშრომელ მოსახლეობაში სახელმწიფო სესხის გავრცელების და სახსრების მობილიზაციის მიზნით: კიდევ მეტი: კოლმეურნეებს **„პირად ანგარიშს“** რუსულ ენაზე უსწორებენ, თუმცა კოლმეურნეთა უდიდესმა ნაწილმა რუსული ენა არ იცის და ნაცნობი ქართული ენა არ ესმის.

ბარი რჩება პირადი ანგარიშის შინაარსი.

სახელმწიფო ბანკის კასპის განყოფილების ასეთი ჩამოშორება მასები საგან გამოწვეულია განყოფილების მუშაკთა დიდი ნაწილის მიერ ქართული ენის უცოდინარობით და აგრეთვე განყოფილების მშრომელი **ხალხის შორის** ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯებით. ამას ხელი შეუწყო სახ. ბანკის საქართველოს კანტორის მმართველის—ლაჭიაშვილის უყურადღებობამ ამ საკითხისადმი. ლაჭიაშვილმა სოციმწყობის სპეციალური მიმართვის შემდეგაც კი არ მიაქცია ყურადღება კასპის განყოფილებაში ქართულ ენაზე საქმის წარმოების დაყენების საკითხს.

კასპის განყოფილების მმართველმა **ხალხის შვილმა** პირადი ნაცნობობით, მთავარ ბუხჰალტერად ანანოვის დანიშვნა მოითხოვა, რაც მას შეუსრულა სახ. ბანკის საქართველოს კანტორამ. ანანოვმა კი, რომელმაც არ იცის ქართული ენა, ირიბი შემოკრიბა ქართული არა მცოდნეები; იგი საქმეს რუსულად აწარმოებს, მაგრამ სამწუხაროდ, როგორც ირკვევა შესაფერად არც რუსული ენა იცის. (4 სტრიქონიან მიმართვაში ცხრა შეცდომა აქვს დაშვებული), ხალხის შვილმა, რომელმაც ნაციონალური პოლიტიკას ამ დამახინჯების შესახებ განაცხადა—ეს „ტექნიკური“ შეცდომაო, პასუხი უნდა აგოს.

სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორამ დაუოყოვნებლივ ბოლო უნდა მოუღოს ადგილობრივი მოსახლეობისათვის გაუგებარ ენაზე თავის განყოფილებებში საქმის წარმოებას. ამასთან, სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილება უნდა აწარმოებდეს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას კოლმეურნეთა და მშრომელ ინდივიდუალურ მეურნეთა შორის, სახელმწიფო სესხის გავრცელების და სახსრების მობილიზაციის მეგემების თავის დროზე შესრულებისათვის.

ა. ჩ. —

ტფილისის თურქ ქალთა კლუბში თურქი ქალები სწავლობენ წერა-კითხვას

სასტიკად დავარტყათ ადგილობრივი ნაციონალიზმის მატარებლებს

(ბაღდათის რაიონი).

ბოლშევიკური ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, აქა-იქ გამოცოცხლდენ დიდმპყრობელური შოვინიზმის და ადგილობრივი ნაციონალიზმის ელემენტები, რომლებიც ნიღაბაბურებულნი ბრძვიან სოციალისტური მშენებლობის ცალკე უბნებზე პარტიის და ხელისუფლების ლონისძიებათა გატარების წინააღმდეგ. **დიდმპყრობელური შოვინიზმის როგორც ახლანდელი ეტაპის მთავარი საფრთხის, წინააღმდეგ თან მიმდევარ და დაუნდობელ ბრძოლას თან ერთად, განსაკუთრებით საჭართველოს პარტორგანიზაციის წინაშე დგას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა: გამოაშკარავონ, ნიღაბი ჩამოგლიჯონ და გაანადგურონ ადგილობრივი ნაციონალიზმის ელემენტები,** რომლებიც ხშირად მოხერხებულად აკეთებენ თავის კლასობრივ საქმის.

ადგილობრივი ნაციონალიზმის კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ ბრძოლა **პარტიულ ორგანიზაციების ერთ-ერთ დიდ ამოცანაა. სისტემატიურ ხასიათს უნდა ატარებდეს ეს ბრძოლა ამიტომ,** რომ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში, მშენებლობის კონკრეტულ **უბანზე** იჩინს თავს ადგილობრივი **ნაციონალიზმის** ელემენტები.

ასეთ სისტემატიურ ბრძოლას ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებისათვის არ აწარმოებენ ან სუსტად აწარმოებენ ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები.

ისტორია, ბაღდადის სატეყეო-სამრეწველო მეურნეობაში ამ დღეებში მომხდარი ინციდენტისა, ამას ადასტურებს. ამ მეურნეობაში ადიგენის რაიონიდან სამუშაოდ მოიყვანეს მუსლიმანები. ისინი როგორც დღიური მუშები მოშობდნენ ბეტონის დაცურებაზე წყალსარის-ბენის უბანში. 15 ივლისს, ჩამოცურების დარგის ხელმძღვანელმა **ხურცილავამ** მეურნეობის დირექციასთან შეუთანხმებლად სამუშაოდან მოხსნა 90 მუსლიმანი მუშობიდან მათ ადგილას მიიღო ქართველები, რომლებმაც სამუშაო აიღეს ნარდათ. ამ ნაადგილობრივ მუშახებს შორის ქალბატონ მნიშვნელოვან გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

შხოლოდ ამის შემდეგ საქმეში ჩაერია საქ. კ.პ.(ბ) ბაღდადის რაიკომის ბიუროს, რომელმაც შეიფასა ეს ფაქტი, როგორც დამახინჯება პარტიის ნაციონალური პოლიტიკის.

როგორც გამოირკვა, მუსლიმან მუშების მოხსნისათვის ხურცილავას არავითარი საქმიანი მიზეზი არ ქონდა, კიდევ მეტი: ნარდათ იმ სამუშაოს შესრულება, რასაც მუსლიმანი მუშები დიღური შეფასებით ასრულებდენ, გამოიწვევდა ხე-ტყის დაკარგების გაძვირებას და გააუარესებდა მეურნეობის ისედაც უხეირო ბეუშობას. რაიკომის ბიუროს დადგენილებით, მუსლიმანი მუშები უკან დაბრუნდნენ სამუშაოზე. ჩამოცურების დარგის ხელმძღვანელი ხურცილავა მოიხსნა სამუშაოდან და მიეცემულ იქნა პასუხისგებაში. სამუშაოდან მოიხსნა აგრეთვე მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე **ჯიმშეიშვილი,** კომუნარდის მდივანი ენდელაძე და სხ.

რაზე ლაპარაკობს მომხდარი ფაქტი? იმაზე, რომ ბაღდადის **სატყეო-სამრეწველო** მეურნეობის პარტიულმა და პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა დაკარგეს კლასობრივი სიფხიზლე. დაამახინჯეს ლენინური ნაციონალური პოლიტიკა, რადგან ადგილობრივი ნაციონალიზმის თავშეშველ ბულ წარმომადგენლებს მისცეს თვითნებური მოქმედების საშუალება. ცხადია ყველაფერ ამას არ ეკუთვნოდა ადგილი, რომ მეურნეობაში სათანადო სიმაღლეზე იდგეს მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა, რომ მეურნეობის პარტიული და პროფესიონალური ორგანიზაცია და სამეურნეო ხელმძღვანელობა ზრუნავდეს მუშათა ინტერნაციონალური აღზრდისათვის. მაგრამ ასეთ ზრუნვას მეურნეობა დღემდე მოკლებული იყო.

საჭიროა ამ საკითხს მიექცეს პარტორგანიზაციების სერიოზული ყურადღება, საჭიროა სათანადო მუშაობის სისტემატიური წარმოება, რომ ადგილი არ ექნეს ჩვენს სინამდვილეში მსგავს ფაქტებს.

დ. გ.

უფრო ენერგიულად გავატაროთ პარტიის ნაციონალური პოლიტიკა

(ტოლოშის რაიონი).

ლენინური ნაციონალური პოლიტიკის სწორად გატარებისათვის ბძოლა, ყველა პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მუდმივი ამოცანაა. მაგრამ ზოგიერთ რაიონში ადგილი აქვს ამ პოლიტიკის დამახინჯების შემთხვევებს. ჩვენ ვლაპარაკობთ კვირიოთ **ტოლოშის** რაიონზე.

ამ რაიონში ცხოვრობენ მუსლიმანები, ქურთები, ქართველები და სომხები. აქედან ორ სოფელში—**ხიზაბავრასა და ტოლოშში** უმთავრესად ქართველები ცხოვრობენ. მიუხედავათ ამისა, დღემდე ხიზაბავრას სასოფლო საბჭო და სხვა ორგანიზაციებიც, **რაიონის** ყველა ორგანოებისაგან ცირკულარებს და მომართვებს იღებენ და თავის მხრივ მათაც უგზავნიან რუსულ ენაზე. ეს კი მთელ რიგ გაუგებრობებს და დამახინჯებებს იწვევს. მაგ. ხიზაბავრას კომკავშირის უჯრედს რუსულ ენაზე მოსდის კომკავშირის რაიკომის დირექტივები და ცირკულარები. უჯრედის მდივანმა კი რუსული ენა არ იცის და ნაცნობი ქართული ენა არ ესმის. ამიტომ ჩვენი სოციალისტური საშობლოს სიმტკიცის ახალი ძარღვია. დროზე უნდა აიცილოს სახელმწიფო ბეღლები, რომ კიდევ ახალი სატრაქტორო რაზმები, ახალი კომბაინების კოლონები მოეფინოს ჩვენი ქვეყნის დოვლათიან ველებს. მან ეს იცის და ამიტომ უხარიან სავსე ბუნკერის რომ დასცქერის.

მე ჯერ ვერ მივხვდი დროშის აფრიალების მიზანს, მაგრამ რამდენიმე წუთში ჩვენს კომბაინთან დიდი ხუთტონიანი ავტომანქანა მოიჭრა და კომბაინერმა სანიშნო სირენი დარეკა. კომბაინი გაჩერდა ისე, რომ მისი ძრავი არ გაჩერებულა და ბუნკერიდან ხორბალი სპეციალური ელევატორით პირდაპირ ავტომანქანაში გადაეშვა. ბუნკერი დაიცალა, კომბაინერმა ისევ დარეკა სირენი და კომბაინი დაიძრა.

***

— ასეთი მარჯვე და საოცარი მანქანა ჩვენს მინდვრებს ჯერ არ უნახავს. ერთი ჰექტარის მარტო მოკას დღეში 20 მუშა მაინც დასჭირდებოდა. კომბაინი კი ერთსა და იმავე დროს ხედავთ რა ამბებს ატრიალებს, —მეუბნება ამხ. ქევხიშვილი.

მართლაც საოცარი რამ არის კომბაინი, მას შეუძლია10—15 ჰექტარი ყანის დამუშავება დღეში. 15 ჰექტარ ყანის მარტო მომკას დღეში დასჭირდება 300 მუშა. ახლა ათეულებად დადგმა, მერე დაზვინვა, შემდეგ გადატანა სალეწ მანქანასთან, ახლა სალეწ მანქანაზე ზვინების ისევ დაშლა, მერე რთული და ჭირვეული ლეწვა-მანქანაზე, რამდენი შრომა, რამდენი დაუბრუნებელი დანაკარგი!

კომბაინი კი მიდის ყანაში და პირდაპირ გამზადებულს, გარკვეულსა და მაღალხარისხოვან ხორბალს გაბარებს აქვე, რამდენიმე წუთში.

კომბაინით მუშაობაში დანაკარგები დაყვანილია ისეთ სიმცირემდე, რომელიც სხვა პირობებში წარმოუდგენელი იქნებოდა.

მაგრამ მცირე დანაკარგსაც ვერ დავუშვებთ. რამდენიმე მარცვალ ხორბალსაც ვერ დავანებებთ ამ უზარმაზარი მანქანის კბილებს და პატარა ხვრელებს.

ამ მხრივ განსაკუთრებული სიყო ჩაღე გამოიჩინა მეორე ბრიგადის დამკვრელმა მექანიკოსმა ამხ. ჭელიძემ, რომელმაც სპეციალური გამოგონებით გზა შეუკრა ამ ხვრელებში მიმავალ მარცვლებს და სალეწ აპარატის ძირში შედგმულ ყუთში ერთად მოუყარა მათ თავი. ამ გამოგონებით ამხ. ჭელიძემ თვითეულ კომბაინზე დანაკარგს მოსტაცა დღეში 7—10 ფუთი ხორბალი რაც ყველა 42 კომბაინზე ყოველდღიურად 400 ფუთამდე ხორბალს შეადგენს.

ამხ. ჭელიძე თავდახრილი მიაბიჯებს კომბაინების კვალზე და უხარია, როდესაც თითო ოროლა დაკარგულ მარცვალიც კი აშკარად ხვდება. ადგილობრივმა პარტკომმა და პროფკომმა დააგვიანეს ამხ. ჭელიძის დაჯილდოების საკითხის დასმა მეურნეობის დირექციის წინაშე.

შარაქელმა გამომგონებელმა ამე რიკელ კონსტრუქტორებს გაუსწორო, მას ღირსეულად უნდა დაფასება.

***

კომბაინი რკინაა და ფოლადი, მაგრამ მასაც გული აქვს და ფრთხილი ადამიანური მოპყრობა უნდა.

დაუსხით ნავთი, მეგობრებო,
ეგეც კაცია! ——
აქეს მართლა გული,
მე ყურს ვუგდებ
ამ გულის ფეთქვას.
დაუსხით ჩქარა,
თუმც გარედან
რკინა აცივა...
და სირცხვილია
უარი ეთქვას.
დაუსხით ნავთი მეგობრებო,
ეგეც კაცია,
რომ სიხარულით

მოეხვიოს თვითეულ ჰექტარს!

არა და გაჭირვებულდება. გაჭირვებაში კი — არასენას ხმალივით გიღალატებს. ეს ყველაზე უკეთესად იცის კომბაინერმა ამხ. გიორგი თოთლაძემ, რომლის მანქანა საათის სისწორით მუშაობს. მან შეჯიბრებაში გამოიწვია თავის ბრიგადისა და მთელი საბჭოთა მეურნეობის კომბაინები.

ყველამ იცის კომბაინ № 17, რომელიც ყველას ასწრებს სამუშაოზე გასვლას. მას ჯერ არავითარი გაცდენა არ ჰქონია, მისი ხედერი ყველაზე მეტ ყანას სჭამს და მისი ბუნკერი ყველაზე ადრე ივსება.

ამხ. თოთლაძის კომბაინს პირველობა ჯერ-ჯერობით ვერავინ წაართვა.

რკინა და ადამიანი თამეგობრებულან, ერთმანეთი შეჰყვარებიათ, ერთი მეორის სურვილს ასრულებენ, ერთი მეორის იმედი აქვთ და არც ტყუვდებიან.

***

ასე იქმნებიან ახალი ადამიანები.

პავლე ოგბაიძე კავკასიის ყინულიან მთებიდან ჯერ ისევ ბავში გადმოვარდა შირაქის დაგვალულ ველზე. ფეხშიშველა ბიჭი, რძიან ყამირებზე დაყვებოდა ნახირს და თასმაზე ჩამობმულ დანით ხალამურს თველებს სჭრიდა.

წამოიზარდა. მამა-პაპაურ გუთნეულით ეჭიდებოდა საუკუნოებით ჩადედებულ მიწის ზოდებს. ვერაფერს აკლებდა. მიწისქვილედ დადგა, ჩკირნების ქლიაზე და გრდემლზე გამოყვანა ისწავლა. სიღარიბეს წელი ვერ გაართვა მაინც.

პირველ ტრაქტორს გაოცებული და შემკრთალი შეხვდა. ჯერ განიდან ახედ დახედა, მერე ნელა მიუახლოვდა, როგორც ჯოგიდან გამოყვანილ გაუხედნავ ულაყს და ერთ ბაშად მოაჯდა.

ამხ. პავლე უფრო გაშტერდა მანქანა რომ თვინიერი და დამჯერე ბელი ნახა. მერე აღარ მოშვებია ტრაქტორს. შეისწავლა, შეიყვარა გამოუცდელობით თუ რასმე ატკინდა—თვითონვე წვალობდა და არინენდა. ბოლოს ხელი გაუმაგრდა, თავის თავი ახლა კი ყველაფრის მცოდნე ეგონა, უხაროდა, უკანასკნელი დარდი ამოფრინდა გულიდან, მაგრამ ტრაქტორს მალე ეს რაღაც უცნაური მანქანა — კომბაინი მოჰყვა.

პავლე მოუსვენრობამ მოიცვა. უფრო რთული მანქანის დაუფლების სურვილმა შეიპყრო ის და გულ აკრუებულმა გადაჰწყდა თავის გუშინდელ მეგობარს...

მას ისევ თვალწინ ედგა ძველებური კალო და კეცრი, აქ კი უცნაურად ეს რაღაც საოცრება გაჩნდა, რომელიც ერთი დღის განმავლობაში მთელი სოფლის ყანას მომკის და გაახვავებს. მოუსვენარი, გამოფხიზლებული ადამიანი ახლა ამ მანქანას შეუჩნდა.

ამხ. პავლე ოგბაიძე დღეს ერთი საუკეთესო ბრიგადირთაგანია, ას მე თაურობს სამუშაოების მე-6 უბანს და ისე დატრიალებს კომბაინებს, როგორც გამოცდილი დოსტაქარი საოპერაციო მაგიდას. მძინარს თუ მღვიძარს — კომბაინი უდგას წინ.

ასე იქმნებიან ახალი ადამიანები, რომლებიც ეუფლებიან ურთულეს ტექნიკას.

ილო ჯოსაშვილი.

გიგანტთა ნაბიჯები

სადაც ერმაკმა გადაიარა,
თან რომ უზენი მიჰყვებოდა ბანდა,
მიჰქონდა ჩაგრული ხალხის ოარა
და იარა კი არც ერთი სჩანდა...
ისტორიას რომ არ გადეჭრა,
არც დღეს გვეთქმოდა სიტყვა ამაზე:
სტეპდა ულრანებს თოფების ჭექა
და მიცვალებად სისხლი ყამაზე...
მისდევდა ბილიკს (რისხვა და შიში
მკლავის ძალას და მახვილის სეირს,
აქეთ კამა და იქით — ირტყმენ,
შემდეგ კი — ობი და ენისერც...
აი, ქვეყანა ჩლუნგი გონების,
ბასრი მახვილო, რომ გიწევს გავლა!
აქეთ სიმდიდრე სტროგანოვების
და იქით კოდევ — მდიდარი დავლა...
ბეწვიანია გზაში ნადირი
და მონადირეც დაუნდობელი...
აოხრებული და ანატირი.
დარჩეს რამდენი თათრის სოფელი!..
სტროგანოვების, მდიდარი ხალხის
ჯამაგირშია მოთავე ბანდის:
„წადი, მშვიდ ხალხზე ჩამცმევო თალხის,
კამა-ურალის გზით ირტიშამდის!..
„წადი, დაჰკარი, მოჰკალ, დახოცე,
არ დაინდო თვით აკვანშიც ბალღი,
გაყვიდი მარილს და ოქროს მოგცემ,
ოღონდ მოყოდულ მკლავს შენც ნუ დალღი.
მაგრამ ამ მთის თავს გადაარა
დროთა გრეხილმა ბევრის ქუხილთან,
დაამდა მკერდზე მწვალი იარა,
შეშრა ცრემლი და დაცხრა წუხილიც...
ახლა მთის გზას არ მიაპობს შუბი,
ხევთ არ ჩასტირის თოფების დენთი,
ოფლმა შეაკო მკერდი და შუბლი
და მთის დამშონე სხვა გაჩნდა სენთი!
მთის უკან ქანებს წერაქვი ხდება,
იხსნება უბე, ლითონის სუყე,
და ეკრანისკაცთა როგვითი სდება,
გაგამტი გიგანტს, რომ მოსდევს უკვე...
კუნძულებენს მოჰყვა ურალმაშენი
და როგორც იქით კრამატორსკაა...
მთაო! ამაღლდა დიდება შენი,
დასაბამიდან ეს არ მოგსწრია...
ამდენ გიგანტებს როგორ დაიტევ?
ამდენ ლითონით უბე ივსება!..
ახლა განშიაც, სჩანს, რომ გაიწევ,
თან რომ ახწიო ჩვენი ღირსება...
ორჯონიკიძის არის ბრძანება,
ეს ბრძანებაა მუშათა კლასის:
„ამიერიდან ამ მანქენებმა
უნდა ასწიონ დიდება კაცის“!
და მართლაც მოდის დიდება კაცის!
ის ამ გიგანტთა მოაქვს ნაბიჯებს:
ვხედავ, მანქანებს უანგს როგორ აცლის
და იმათ ტრიალს როგორ აგიყვებს!
დაეუფლება ის რთულ ტექნიკას
და მისი როლიც გამარტივდება...
დიახ, მოელის ჩვენს რესპუბლიკას
გამარჯვება და ძლევის დიდება!..

ნ. ჯოჯოლაშვილი

ჩვენ კომბაინი

ზვირაკის ოქროს ზღვის ქალღებში

I

უკანასკნელი ქედი გადავლახეთ, და ჩვენს წინ გაიშალა უნაპირო ზღვა და შორს ჰორიზონტზე ზაფხულის მზეზე ცეცხლ წკაკიბებული ღრუბლები. მაუბუქი მოტორი რბილად მიგვასრიალებს მოშრიალე ტალღებში, ტალღები აქეთ იქით გარბიან და თვალის მომჭრელ ელვარებით ერთმანეთზე იმსხვრევიან.

ოც კილომეტრამდე გავიარეთ. შორს აღიმართა შავი, ნავთიანი კვამლის მაღალი სვეტები, კვამლი ღილის ნიავში მაღლა აიტაცა და ზღვის ზედაპირზე მიმავალ გემების სილუეტების გრძელი ჭარავანი დარჩა. მიგვასრიალებს მოტორი და ტალღებში მოქანავე ესკადრას ვუახლოვდებით.

ჩვენს იქით ტალღებიდან გემების მეორე ჯგუფი ამოცურდა. აი პირველ პალუბაზე უკვე აფრიალდა მეზღვაურის პატარა დროშა, რომელიც მეორე გემს რაღაცას ანიშნებდა. მეორე გემმაც დროშითვე უპასუხა. შემდეგ სირენის მაგარი ძახილი გაისმა და ათეული მანქანის გაბმულ გუგუნში შევიჭერით.

ასე შევხვდით კომბაინებს.

23 კილომეტრიან სიგრძის და 7 კილომეტრიან სიგანის ერთიანი ყანა, შორაქის ხელისგულივით სწორ ველზე, სადაც არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ხე მოიპოვება, სწორედ ზღვას მოგაგონებს. რკინაში და ფოლადში ჩამჯდარი უზარმაზარი მანქანები ნელა მისცურავენ ამ ზღვაში და მრისხანე კრეატურებივით მიაპობენ თავთავების აქოჩრილ ტალღებს.

საბჭოთა მეურნეობის ცენტრალური უბანი ამ 50 კილომეტრიან წრის შუაგულშია მოქცეული. აქედან მზის სხივებივით სწორად გატყორცნილი გზები ექვს ცალკე სამუშაო უბანს უკავშირებენ საბჭოთა მეურნეობას. თითეულ უბანს ამუშავებს თავისი ბრიგადა.

170—200-მდე მუშა-ხელი, 10-15 ტრაქტორი, 10 — 11 კომბაინი, 10 — 15-მდე თვითმკვრელი, 4—5 ავტო-მანქანა, გუთნები, ფარცხები, სალეწი მანქანები, ტვირთის საზიდი ლაფეტები (ღია ვაგონები), შემკეთებელი სახელოსნოები, მოძრავი სამზარეულოები, და სხვ. მოწყობილობა—აი რას წარმოადგენს თითეული ბრიგადა.

ბრიგადის მეთაური, სატრაქტორო კოლონის უფროსი, აგრონომ-ექონომისა, მექანიკოსები, ავრო-ტექნიკოსები, კომბაინერები, შტურვალები (მესაჭენი) ტრაქტორისტები, შოფერები, მზარეულები და დიასახლისი ქალები — ასეთია ბრიგადის შემადგენლობა.

თითეული ბრიგადა პატარა მოძრავ სოფელ - ქალაქს წარმოადგენს. პარტუჯრედი, კომკავშირის უჯრედი, პროფკომი, კედლის გაზეთი, წითელი კუთხე, მოძრავი კინო, სახელდახელო საწარმოო თათბირები, —ასეთია ბრიგადის ყოფა და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრება. ბრიგადებს მეთაურობენ საუკეთესო დამკვრელი ტრაქტორისტები და კომბაინერები, რომელთაც მტკიცე ორგანიზატორულ უნართან შეთავსებული აქვთ ყოველნაირი მანქანა-იარაღების ზედმიწევნითი ცოდნა. მათ რამოდენიმე წელიწადს უმუშავნიათ შირაქის საბჭოთა მეურნეობაში, და ამ მანძილზე ჭირვეულ ბუნების მოვლენებთან და ასწლოვან გაუტეხავ ყამირებთან ბრძოლაში უწრთვნიათ მტკიცე ბოლშ. დისციპლინა საწარმოო გეგმების თავის დროზე და მთლიანად შესრულებისათვის.

***

პირველ დღესვე მეორე ბრიგადაში მოვხვდი და შორიდან გემების ესკადარას რომ მივამზგავსე—ამ ბრიგადის 10 კომბაინი იყო, რომელნიც მწკრივად მიჰყვებოდნენ ოქროს წყალში გავლებულ ყანას.

ბრიგადას თავისი წესრიგი აქვს, და მაინ მეთაურის დაუკითხავად სამუშაო უბანში სიარული არ შეიძლება. ამიტომ პირველ ყოვლისა ბრიგადირი მოვნახეთ.

მიგვასწავლეს საველე კარვებისაკენ, იქიდან საჯანიბოსაკენ, მერე სახელოსნოსაკენ, აქედან კიდევ სხვა განაც, ვერ ვიპოვეთ ვერსად ბოლოს კომბაინებისკენ გავსწიეთ.

ჩვენს მანქანას შუა ყანაში გზა გადაუჭრა მტვერში სახე გაცვლებულმა ახალგაზრდა მუშამ, რომლის გაღიმებულ მკერდზე კრიალა ვერცხლის წყალა მორბოდა.

— ვის ეძებთ, ამხანაგო!

— ბრიგადირს.

— რა გნებავთ, მე გახლავართ.

— ჩვენ კი კარვებიდან დავიწყეთ ძებნა.

— კარვებისათვის ვისა სცალია, ახა გახედეთ! იქვე ჩვენს მახლობლად ათი ფოლადის დეკკაცა ქშინვით მისცურავდა და დაუზოგავად ნთქავდა თავთავების ადიდებულ მდინარეს.

ამხ. რამაზ ქევხიშვილი წინ გაგვიძღვა თავაზიანად. ის შარშან ერთი პირველი კომბაინერთაგანი იყო. მაშინ ეს საოცარი მანქანა მისთვისაც ახალი ხალი იყო, ეხლა კი ალარაფერი უკვირს მისი მხოლოდ უხარიან; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი მანქანა მეორესთან ამხანაგური შეჯიბრებაში იბრძვის.

ზრიალით და გუგუნით მოგვიახლოვდენ კომბაინები.

პალუბაზე საჭესთან ბრინჯაოს კაცივით დგას მაგარ კუნთებიანა შტურვალი და დაძაბული ყურადღებით აცქერდება მანქანის იმ ნაწილს რომელიც ყანაშია სოლოვით შეჭრილი. როგორც სჩანს მის სიმარჯვეზე და გულის ყურზეა დამოკიდებული ყანის სისწორით მკა. შტურვალს გვერდით კი დგას კომბაინერი, რომელიც გამოცდილ ექიმის ყურით ფრთხილად უსმენს ამ ურთულეს მანქანის თვითეული ძარღვის ცემას, თვითეული ჩარხის ხმას. საკმარისია სადმე მანქანის რკინის სახსარმა დაიკვნესოს და ის მაშინვე იქითკენ გაქანდება. კომბაინზე თუ თეთრი დროშა აფრიალდა—ეს იმას ნიშნავს, რომ მანქანა შველას ითხოვს ბრიგადის მექანიკოსი ამ დროს დანიშნულ ადგილიდან უთვალთვალებს შორს აფრიალებულ დროშას და შენიშნავს თუ არა, წინდაწინვე გამზადებულ ცხენით იქითკენ მიჰქრის.

კომბაინს წინ მძლავრი სტალინგრადელი ტრაქტორი მიუძღვის. მანქანის მარჯვენა ფრთა — (ხელერა) ღრმად შეჭრილა ყანაში და ხერხის მსგავსი მძლავრი ცელით 30 სანტიმეტრის სიმაღლეზე ჰკვეცავს თავთავებს, რომლებსაც თვალმოუცვლელი სისწრაფით მაშინვე იტაცებს კონვეირის მაგარი ლენტი და სალეწ აპარატში შეაქვს.

შემდეგ მანქანის ზურგს უკან ხედავ ნალეწი ნამჯის კორიანტელს და პალუბის თავზე ამართულ ელევატორიდან ახლად გალეწილ და გახეავებულ ხორბლის მოვარდნილ მდინარეს, რომელიც პირდაპირ კომბაინის ბუნკერში (ბეღელში) ეშვება.

ერთ დროს ხმალში და დოლში ნაქებ ზაპოროჟეცს დღეს ამ შესანიშნავი მანქანებით შეუძლია ბამაყოს. ზაპოროჟეცს საბჭოთა ქარხნებშია შეკრული ეს ჯაგმნიანი ბუმბერაზები, რომლებიც მრისხანე დევებივით ცეცხლით ქშინავენ, გული კი ჩვენი სოციალისტური ველების სრყვარულით უძგერთ.

მე-№ 17 კომბაინის პალუბაზე ვდგევარ — და მომუშავე მანქანის კუნთების ცემას ვუცქერი. შტურვალი სპეციოსი დგას. კაპიტანი (კომბაინერი) ჩემს გვერდით პალუბაზე. მინდა ვკითხო რამე, მაგრამ მანქანა გრიალებს და საუბარს არ გვანებებს.

ჰა, მომარჯვებულმა ელევატორ მა ტონა ნახევრიანი ბუნკერი უკვე პირამდე აავსო კრიალა ხორბლით. კომბაინერმა მაშინვე წითელი დროშა აიფრიალა.

მას სიხარულის სინათლემ გაუბრწყინა სახე. თვითეული სავსე ბუნკერი ხომ ჩვენი სოციალისტური საშობლოს სიმტკიცის ახალი ძარღვია. დროზე უნდა აივსოს სახელმწიფო ბეღლები, რომ კიდევ ახალი სატრაქტორო რაზმები, ახალი კომბაინების კოლონები მოეფინოს ჩვენი ქვეყნის დოვლათიან ველებს. მან ეს იცის და ამიტომ უხარიან სავსე ბუნკერის რომ დასცქერის.

მე ჯერ ვერ მივხვდი დროშის აფრიალების მიზანს, მაგრამ რამდენიმე წუთში ჩვენს კომბაინთან დიდი ხუთტონიანი ავტომანქანა მოიჭრა და კომბაინერმა სანიშნო სირენი დარეკა. კომბაინი გაჩერდა ისე, რომ მისი ძრავი არ გაჩერებულა და ბუნკერიდან ხორბალი სპეციალური ელევატორით პირდაპირ ავტომანქანაში გადაეშვა. ბუნკერი დაიცალა, კომბაინერმა ისევ დარეკა სირენი და კომბაინი დაიძრა.

***

— ასეთი მარჯვე და საოცარი მანქანა ჩვენს მინდვრებს ჯერ არ უნახავს. ერთი ჰექტარის მარტო მოკას დღეში 20 მუშა მაინც დასჭირდებოდა. კომბაინი კი ერთსა და იმავე დროს ხედავთ რა ამბებს ატრიალებს, —მეუბნება ამხ. ქევხიშვილი.

მართლაც საოცარი რამ არის კომბაინი, მას შეუძლია10—15 ჰექტარი ყანის დამუშავება დღეში. 15 ჰექტარ ყანის მარტო მომკას დღეში დასჭირდება 300 მუშა. ახლა ათეულებად დადგმა, მერე დაზვინვა, შემდეგ გადატანა სალეწ მანქანასთან, ახლა სალეწ მანქანაზე ზვინების ისევ დაშლა, მერე რთული და ჭირვეული ლეწვა-მანქანაზე, რამდენი შრომა, რამდენი დაუბრუნებელი დანაკარგი!

კომბაინი კი მიდის ყანაში და პირდაპირ გამზადებულს, გარკვეულსა და მაღალხარისხოვან ხორბალს გაბარებს აქვე, რამდენიმე წუთში.

კომბაინით მუშაობაში დანაკარგები დაყვანილია ისეთ სიმცირემდე, რომელიც სხვა პირობებში წარმოუდგენელი იქნებოდა.

მაგრამ მცირე დანაკარგსაც ვერ დავუშვებთ. რამდენიმე მარცვალ ხორბალსაც ვერ დავანებებთ ამ უზარმაზარი მანქანის კბილებს და პატარა ხვრელებს.

ამ მხრივ განსაკუთრებული სიყო ჩაღე გამოიჩინა მეორე ბრიგადის დამკვრელმა მექანიკოსმა ამხ. ჭელიძემ, რომელმაც სპეციალური გამოგონ

კოლმეურნეობა „კოლექტივიზაციას დღე“-ს შესახებ

სახ. ა. პ. (ბ) სენაკის რაიკომის ბიუროს და სამ. სატ. სადგურის კოლიტ განყოფილებათა დადგენილება.

გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციაში შემოსული იყო სენაკის რაიონის, სოფ. ნაქალაქევის კოლმეურნეობა „კოლექტივიზაციას დღე“-ს წევრის წერილი იმავე კოლმეურნეობის შესახებ. წერილში აღნიშნული იყო, რომ სასოფლო - სამეურნეო არტელ „კოლექტივიზაციას დღე“-ს გამგეობაში გაყვანილია ყოფილი შავსიელი, ჭურდი და 1924 წლის ბანდიტური გამოსვლების აქტიური მონაწილე მოქ. **ბიქტორ ბაღათაურია.** ბაღათაურია ცდილობდა უკმაყოფილება გამოეწვია კოლმეურნეობის წევრებს შორის, მოითხოვდა კოლმეურნეობიდან ღარიბების გაძევებას და სხვა. როგორც წერილში იყო აღნიშნული, ბ. ბაღათაურიას გარიცხვის შესახებ ადგილობრივ ორგანიზაციებში რამდენჯერმე დააყენეს საკითხი, მაგრამ კოლმეურნეობიდან მის გარიცხვას არაფერი ეშველა, რადგან მას ხელს აფარებდა ყოფილი **საბაზო პარტუჯრედის მდივანი ამზ. პ. ზარქუა,** რომელიც ნათესაური დამოკიდებულებაში იმყოფებოდა მოქ. მ. ბაღათურიასთან.

აღნიშნული წერილი გაზეთ „კომუნისტმა გადაუგზავნა საქ. კ. პ. (ბ) სენაკის რაიკომს, რომელმაც მოახდინა ამ საქმის გამოკვლევა და სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებასთან ერთად გამოიძახა დადგენილება, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვბეჭდავთ:

„სენაკის რაიკომის ბიურომ, სამანქანო - სატრაქტორო სადგურის პოლიტგანყოფილებასთან ერთად მოისმინა მოხსენება „კომუნისტის“ რედაქციის მიერ გადმოგზავნილ, გაზეთში გამოუქვეყნებელი წერილის გამოკვლევის შედეგების შესახებ სოფელ ნაქალაქევში არსებულ სასოფლო - სამეურნეო არტელ „კოლექტივიზაციის დღის შესახებ“. წერილი ეხებოდა გამგეობის წევრ მოქ. ბ. ბაღათურიას და უჯრედის მდივანს პ. ზარქუას. მოხსენების მიხედვით — რაიკომის ბიურო და პოლიტგანყოფილება **ადასტურებენ** კორესპონდენციაში აღნიშნულ ძირითად ფაქტების სინამდვილეს, რისთვისაც ადგენენ:

1. სასოფლო - სამეურნეო არტელ „კოლექტივიზაციას დღეს“ კოლმეურნეობის გამგეობის წევრი მოქ. ბიქტორ ბაღათურია გაირიცხოს გამგეობის წევრობიდან და კოლმეურნეობიდან, როგორც ყოფილი შავსიელი, 1924 წლის ავანტურის აქტიური მონაწილე და ყოფილი ჭურდი.

2. ყოფილი საბაზო უჯრედის მდივანს, ამჟამად სასოფლო ტერიტორიული უჯრედის მდივანს ამზ. პ. ზარქუას იმის გამო, რომ მან იცოდა კოლმეურნეობის გამგეობის წევრად ყოფილი ჭურდის, ყოფილი შავსიელის 24 წლის ავანტურის მონაწილის მოქ. ბიქტორ ბაღათურიას ყოფნა და ვერ გამოიჩინა კლასობრივი სიფხიზლე, არ გამოამჟღავნა რა იგი, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით და მოიხსნას უჯრედის მდივნობიდან.

3. სასოფლო - სამეურნეო არტელ „კოლექტივიზაციას დღეს“ გამგეობის კომფრაქციას მიეცეს შენიშვნა იმის გამო, რომ მან ვერ ამხილა არტელის გამგეობის წევრად დღემდე დარჩენილი უცხო ელემენტი მოქ. ბაღათურია და თავის დროზე არ მიიღო მის წინააღმდეგ საჭირო ზომები.

4. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს კოლმეურნეობის გამწმენდას კლასობრივად უცხო და მიუღებელი ელემენტებისაგან და ადგილობრივი პარტორგანიზაციის კლასობრივი სიფხიზლის კიდევ უფრო მეტად გამახვილებას“.

ავლაგმოთ სპეკულიანტები

(წერილი ჟურნალიდან)

საკოლმეურნეო ვაჭრობის გაშლის შესახებ პარტიის დადგენილება ყველასათვის გასაგებ ენაზე იყო გამოქვეყნებული, მაგრამ ჭუთაისის რაიონში ზოგიერთმა ორგანიზაციამ თავთ შორის ზოგიერთ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა ეს დადგენილება ყალბად გაიგეს და ამიტომ საკოლმეურნეო ვაჭრობამ მიღო მახინჯი ხასიათი.

დავასახელოთ ფაქტები: ჭუთაისის ბაზრებში—კოლმეურნეობის სახელით თავისუფლად ვაჭრობენ ჩარჩ-სპეკულიანტები. მაგალითად, ზღანოვიჩის ბაზარზე სოფ. მაღლაკის კოლმეურნეობის სახელით საგაჭრო ფარდული № 1-ში ვაჭრობენ ყოფ. ვაჭრები: გურეშიძე ვანო, ბაბუშვილი და კოლია ფხაკაძე. ამასთან ერთად ამ ფარდულში ვაჭრობენ ასევე ჩარჩ-სპეკულიანტები: ლომიძე ბაბა და მაითვის ფარფლულების ჩამორთმევით საკითხის დადგმამდე მათ ასაღა გმავად არაფითარი ზომები არ არის მიღებული.

როდემდის გაგრძელდება ჭუთაისში ჩარჩ-ვაჭრების თარეში? ბოლო მოეღება თუ არა ჭუთაისის სამთანდო ორგანიზაციების მხრივ ამ საკითხისადმი ახვით გულგრილ დამოკიდებულებას, რაც საშუალებას აძლევს ჩარჩ-ვაჭრებს კოლმეურნეობების ნიადაგით ტყავი აძროს მშრომელებს.

პ. ბურჯანაძე, ნ. ჯიბლაძე

რედაქციისაგან:

„კომუნისტი“ აღნიშნავს რა წერილში მოყვანილ საკოლმეურნეო ვაჭრობის დაბინძურების შესახებ აღმაშფოთებელ ფაქტებს, მოითხოვს ამ საქმეში ჭუთაისის საქალაქო საბჭოს ჩარევას და პასუხს მოცემული ზომების შესახებ.

რ ი ო ნ კ ე ს გ ე

ქუთაისი, 26 ივლისი. რიონზესზე 25 ივლისს, დღის 1 საათიდან, მეორე ავრეგატის მონტაჟის დამთავრების შემდეგ, მემონტაჟეთა ბრიგადამ, ინჟინერ ბოლოფუსოვის ხელმძღვანელობით საცდელად სამჯერ გაუშვა წყალი მეორე ტურბინის მეორე მილსადენში. პირველად წნევა უდრიდა 35 მეტრს, მეორედ — 40 მეტრს და მესამედ — 50 მეტრს. მილსადენიდან წყალი გამოშვებულ იქნა მეორე ტურბინის უჭმ გამომშვებით. წყლის სამივე გაშვება ჩატარდა 4 საათის განმავლობაში.

18 საათისათვის დამთავრდა თიხქმის მთელი მოსამზადებელი მუშაობა მეორე აგრეგატის გამოსაცდელად. გეირაბებით არხებში გაშვებული წყლის ხარჯი უდრის 2 ნახ. კუბომეტრს წამში.

დღისით მოხდა შევსება 1 ნახ. საათით დერივაციაში წყლის გასაშვებად, რათა კაშხალზე გატარდეს 10 ტივი, რომელიც რიონით რაჭის მთებიდან მოდის.

მომავალში, როცა კაშხალზე ჰორიზონტი აწეული იქნება მაღალ ნაჭდევამდე — 157,50-მდე, ტივები კაშხალის გასასვლელზე გაცურდება ისე, რომ არ შეფერხდეს ელ. მოსამზადებელი მუშაობა მეორე აგრეგატის გასაშვებად (ადს).

ვემზადებით საწარმოო ტექნიკური კონფერენციისათვის

(ქუთაისის ფეხსაცმელების ფაბრიკა)

გაზეთ „კომუნისტი“-ს ქუთაისის განყოფილების ინიციატივით ქუთაისის ფეხსაცმელების ფაბრიკაში ეწყობა საწარმოო - ტექნიკური კონფერენცია.

საწარმოო - ტექნიკური კონფერენციის მიზანია გამოარკვიოს წუნდებული პროდუქციის გამოშვების მიზეზები და დასახოს ღონისძიებები პროდუქციის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის. მოსამზადებელი მუშაობა უკვე დაწყებულია; 21 ივლისს მუშაობის დამთავრების შემდეგ ჩატარდა ადგილობრივი პარტიული, სამეურნეო და პროფესიული ორგანიზაციების ხელმძღვანელების თათბირი, სადაც ფართოდ გაშუქდა საწარმოო - ტექნიკური კონფერენციის მიზნები და ამოცანები, და მისი ჩატარების ორგანიზაციული საკითხები.

საწარმოო - ტექნიკური კონფერენციისათვის მასალების შესაგროვებლად და, კერძოდ, წუნის მიზეზების გამოსარკვევად გამოიყო ამხანაგების ჯგუფები: მელაძის, სულაბერიძის, ოფხაიძის და ლაშქარაძის შემადგენლობით. ისინი უკვე შეუდგენ მუშაობას: გამოაკრეს ლოზუნგები, მოაწყვეს მუშათა წინადადებების კუთხეები და სხვა.

1933 წლის პირველ ნახევარში ფეხსაცმელების ფაბრიკაში გამოშვებული იყო 27 წყვილი წუნდებული ფეხსაცმელი. წუნის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მასალის უვარგისობა და ცუდი შეკერვა. წუნდებულ პროდუქციას სისტემატიურად უშვებს: წაღების საამქროს მუშა ვ. ხაჭაპურიძე. მის წინააღმდეგ მიღებული იყო სათანადო გამოსწორებული ზომები, მაგრამ მას ჯერ-ჯერობით გამოსწორება არ ეტყობა, წუნდებულ პროდუქციას უშვებენ აგრეთვე ჩექმების საამქროს მუშები მიხეილ ავალიანი და შალიკო ბზიკაძე.

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხარისხის გაუმჯობესებისათვის არც ადმინისტრაცია ზრუნავდა. გასულ წელს ის წუნდებული პროდუქციის აღრიცხვას არ აწარმოებდა, ხარისხის გაუმჯობესების ძლიერი საშუალებაა ტექნიკური სწავლება, მაგრამ ეს საქმე ქუთაისის ფეხსაცმელების ფაბრიკაში დღემდე სრულიად მიგდებულია, რაც ტექნიკის დაუფლების შეუფასებლობას უნდა მივწეროს. ფეხსაცმელების ფაბრიკის პროფორგანიზაციამ სასწრაფოდ უნდა ჩამოაყალიბოს ტექნიკმინიმუმის წრეები, ხოლო ადმინისტრაციამ მას უნდა აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება (ტექნორგბიურო, უზრუნველყოფა, ბინის გამონახვა და სხვ.).

საჭიროა ფაბრიკის მუშათა და ინჟ.-ტექნიკოსთა კოლექტივი მტკიცედ დაირაზმოს საწარმოო - ტექნიკური კონფერენციის ბოლშევიკურად ჩასატარებლად და უზრუნველყოს მისი ნამდვილი საქმიანი საქმიანობა.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა:
პ. ლალიაშვილი.
ნ. ჯიბლაძე.

ქვანახშირის ამოღება

(ტონობით)

(24 ივლისს)

	ბანი	დაგვალება	შესრულება	პროცენტი
ლენინის	365	76	21	
სტალინის	537	240	44,6	
თხიხნარის	60	99	165	
ს უ ლ	962	415	43,6	

სურამის უღელტეხილზე ამუშავდა

ზესტაფონის წევის ქვესადგური

24 ივლისს ა-ა. რკინის გზის ელექტროფიკაციის განყოფილებამ ორი დღის გამოცდის შემდეგ გადასცა ნორმალურ ექსპლოატაციაში ზესტაფონის წევის ქვესადგური.

უკანასკნელ დროს სურამის უღელტეხილზე ელექტროწევა მომსახურებას უწევდა 60 პროცენტამდე მატარებლებს.

სტალინისის და მოლოთოვის ქვესადგურების გარდა ზესტაფონის ქვესადგურის ამუშავება შესაძლებელს გახდიდეს ელექტრომავლების გამოყენებას და საშუალებას მოგვცემს ელექტროწევაზე გადავიყვანოთ ყველა ის მატარებლები, რომლებიც ულელტეხილზე მოძრაობენ (ადს).

დაბლის მუშაკების დასას. კომბინატი პოჯორში

პოჯორში მოწყობილია და გახსნილია დაბლის მუშაკთა დასასვენებელი კომბინატი რომელშიაც გაერთიანებულია —4 დასასვენებელი სახლი, საბავშვო ბანაკი, პროფესიული მუშაობის სკოლა, სასადილო და საზაფხულო სამზარეულო

კომბინატში დასასვენებლათ იგზავნებიან დაბლის საუკეთესო დამკვრელი მუშაკები და მათი ოჯახის წევრები. დამსვენებლებისათვის ახალი ბოსტნეულისა და სურსათ-სანოვაგის მზსწოდებლათ მოწყობილია საგარეუბნო მეურნეობა.

კომბინატის მოწყობის ინიციატივა ეკუთვნის კოოპ. და ვაჭრობის მუშაკთა კავშირს. კომბინატის მოწყობაში, რაც 90.000 მანეთამდე დაჯდა, მონაწილეობა მიიღეს სამეურნეო-სავაჭრო კოოპერატიულმა ორგანიზაციებმაც.

ერთ-ერთი დასასვენებელი სახლი, სადაც ამჟამად 35-მდე დაბლის მუშაკი ისვენებს

ოფიციალური განკოფილება

განმარტება

სახ. შრ. სპ. კომისარიატისა

1933 წ. 19 ივლისი.

ამ პირთა შედავათების შესახებ, რომელნიც გადავლენ შეკრებებს თავდაცვა-ავიაქიმის, რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების, ავტოგზის, რადიო მეგობარ. საზოგადოების, და სამოქალაქო სახკომატების სისტემიდან შრომისსაკომში შემოსულ ცნობებიდან ირკვევა, ცალკე საწარმო, მეურნეობა და დაწესებულებები ხელს უშლიან მუშაებს გაათავისუფლონ შეკრებები ზემოხსენებულ ორგანიზაციებში სამსახურიდან არ გათვისუფლებით და საშუალო ხელფასის გაუცემლობით.

აღნიშნულის გამო სახ. სპრ შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს, რომ თანახმად სსრკ შკ 1930 წ. აგვისტოს 21-ს დადგენილი და №277 ნომერით „სამხედრო სამსახურში გაწვევის და სამხედრო სამსახურის განვლის დროს შრომისა და საცილოლური დაწესებულების შედავათების შესახებ“ — გამოცემული ინსტრუქციის 36-ე მუხლისა — ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონით დადგენილი შეკრებები ტარდება თავდაცვა-ავიაქიმის, რუსეთის წითელი ჯვრის საზოგადოების, ავტო-გზის, რადიოს მეგობართა საზოგადოების, და გზათა სახ. კომ. კავშირგაბმულობის სახ. კომ., მეწყობოსმენელების, სახ. კომ. ხაზით — მუშაკებს ენახებათ სამხედრო სწავლების ყველა დღეების და ნაათების სრული ხელფასი.

ამავე წესით ენახებათ სრული ხელფასი იმ მუშაკებს, რომელნიც სავალდებულო ან ნებაყოფლობითობით წესით გაწვევენ ინსტრუქციით.

სახ. სპრ შრომის სახკომისარიატი
მოკრძილაძე
კოლეგიის წევრი. შრომ. ორგ. და გავაკ.
სექტ. გამგე — **მახარაშვილი**

კარტიული და საბჭოთა კარენდარი

სახ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის საორგ.-საინსტრ. განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ც. კომიტეტში (ოთახი № 71) ამხ. გარსევანიძეთან 27 ივლისს. ლიპაში დიმიტრია, ირინა ამბატური, მაცრა ვასილაძე, ანნა დოლიძე, ნინა ხატისკაცი, თამარა მელქაძე, მარო მიჩიაძე, სუსანა ბერიძე, ქეთევან რიხვიაშვილი, ნატალია ჯიბუტი, პატულია ხარებავა, ასია ჭანტურია, ლიდა ჯაფარიძე, ანნა მატრინი, შუშიკ გრიგორიანი, მარო ნათიშვილი, ეკატერინა ბუნიატოვა, პარასკევ გალდავა, ლიზა ანდრიაძე მარო მარიტაძე, მარო პარხალაძეთა, ვერა მორჩილაძე, ლიუბა ენუქიძე, ნ. ლუტოდიანი, ნინა ჩარკვიანი (ადვოკატი), მარგალიტა გაბუნია, პაპა ჭარხილიანშვილი, ზინი დახარია, პეტროსია მელაქაძე. ის ამხანაგები, რომლებიც ტყილიში არ იმყოფებიან, უნდა გამოცხადდენ ორი დღის განმავლობაში.

„კომუნისტი“-ს ყოფილ თანამშრომელს გიორგი ფარკოსაძეს ევალება პირველ აგვისტოს გამოცხადდეს სახ. ც. ს. კ. მუშაკთა წიაღის საჩივრებით პირადში ამის. დიდებულოთ. თუ ჩსენებული პირი არ ცხოვრობს ტყილისში, იმ შემთხვევაში გაცნობოს ტყილისის ტყილისის ადგილის ზუსტი მისამართი ზემოხსენებული დროისათვის.

—:—

სახ. ც. ს. კ. პარტკოლეგია სთხოვს არტელ „თეძაურის კვეის“-ს ყოფილ მუშაკებს ამხ. ყაზარიანს, სულაქიძეს, ბაქაიშვილს, ლომბაროს; შიო შარაშიძეს; ჭილტაღოროზ ფალას, გიორგი მგელაძეს და აგრეთვე ივანე ი. კალანდაძეს და ივანე შიო შვილს რაჭარისტანის ყოფ. მუშაკებს, სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ ც. ს. კ. პარტკოლეგიაში (ოთახი № 6, რუსთ. პროსპ. № 24, შესამე სართული).

არახელსშემწყობი პირობების გამო (ამინდი და სხვ.)

ტფილისის მუშათა პირველი ოპტაბინიზაციული გასვლა მუშათა დასასვენებელ ცხეთის კომბინატში და ბაბადურკების ცხეთიდან ბაბადურამდე ლაშქრობის დაწყება

გადატანილია 30 ივლისისათვის

საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა განცხადებები ორგანიზებული წესით უნდა მიიტანონ პროლეტ. ტურიზმისა და ექსკურსიების სახლ-გადიებს („პტეს“) ტფილისის საბჭოში (ტფილ. საბჭო, ოთახი № 57, ამხ. დანდურაძესთან ან კეკელიძესთან).

მუშათა დასასვენებელ მცხეთის კომბინატის მშენებლობის უფროსი
ა. ოსიპოვი.

სახელმწიფო ოპერა

1933—34 წლის სეზონი.

აბონემენტებზე განცხადებების მიღების შეკანასკნელი დღეა 3-წ. 31 ივლისი.

სალარო ღიაა დღის 12—2 საათამდე და საღამოს 6—10 საათამდე.
2—2 ხ. 205

საბავშვო წარმ.	ორშაბათი 9, 10-30 — ლ. მ. ტოლსტოის რომ. **ქოვლი ბატონი** პრ. გარ.—სახ. საქართველო № 10.
	სამშაბათი 9, 10-30 — მხატ. ფილმი **მგლის შვილოსა** პრ. გარ.—სახ. საქართველო № 10.
	ოთხშაბათი 9, 11. — სახელოვარგარეთ. კომედია **ნიჭიერი** პრ. გარ.—ფიზკულტურელთა აღლუმი.
	ხუთშაბათი კომედია (დიდებუ) 9, 10-30 — სათავგადასავლო ფილმი **ზელიმ-ხანი**
	პარასკევი 7, 8-45, 10-30. — სახელოვარგარ. სათავგადასავლო ფილმი **ქვაღ და ქვაღ** რან-ტან-ტანის მონ.
	შაბათი 6-30, 8, 9-30, 11. — სახელოვარგარეთული ფილმი **ჩიკაგო**
	კვირა 7, 8-45, 10-30 — რ. ლიუძსმეშგრის გაზმოვანებული ფილმი **ჰორიზონტი** პრ. გარ. გაზმოვანებული ყურნ. № 16.
	ხვალ 7-30, 9, 10-30 — იგორ ილინსკის მონაწილეობით **ა ე ლ ი ტ ა**
	საბავშვო კინო დღის 12 და 2 საათზე — ახალი საბავშვო ფილმი **მოიყვინდეთ ცხენები**
	მეცნიერება ტ ტექნიკა 8,9-30 — ეთნოგრაფიული ფილმი **ძუძუთები—ეზიდები**

ტფილისის პოლიპერატიულ ტექნიკუმში მიღების პირობები

(კაშტას ქ. № 52).

1. ტექნიკუმი ამზადებს კოოპერაციის სისტემისათვის საშუალო კვალიფიკაციის მუშაკებს: 1) ეკონომისტ მგეგმავებს, 2) საქონლის მცოდნეებს, 3) ორგინსტრუქტორებს და 4) აღრიცხვის მუშაკებს (ქართულ და რუსულ სექტორში).

2. სწშმოდგომო მიღება იწარმოებს ოთხივე განყოფილებაზე.

3. ტექნიკუმში მიიღებიან 7 წლიდ დამთავრებულნი, ასაკით 17 წლიდან 30 წლამდე.

4. ტექნიკუმში შემსვლელებმა უნდა შემოიტანონ განცხადება შემდეგი საბუთებით: ა) განათლების მოწმობა, ბ) სოციალური წარმოშობის, გ) პროფესიისა და სტაჟის, დ) დაბადების, ვ. ჯანმრთელობის, ზ) სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ მოწმობა, მ) ორი შემოწმებული ფოტოკრაფიული სურათი და სხვა დამახასიათებელი მოწმობები.

5. შემსვლელთათვის გამოცდები იწარმოებს: მშობლიურ ენაში (ზეპირი და წერითი), 2) მათემატიკაში (ზეპირი და წერითი), 3) საზმიცნირებაში, 4) ფიზიკაში და ქიმიაში.

განცხადების მიღება იწარმოებს 1 აგვისტოდან 15 აგვისტომდე დილის 10—2 საათამდე. საბუთების გამოგზავნა შეიძლება ფოსტითაც. მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე, საშემოდგომო გამოცდები კი 25 აგვისტოდან 29 აგვისტომდე.

7. მეცადინეობა ყველა კურსებზე განახლდება 1 სექტემბერს.

461 ტექნიკუმის დირექტორი **გ. ნადარეიშვილი.**

სახელგამს ესაჭიროება

გუნჯალტრები და მექანატოტექიკები

გამოცხადებულთ უნდა ჰქონდეთ თან მოწმობა უკანასკნელი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ.

მისამართი: აღმასკომის ქ. № 7.

5. **კადრების განყოფილება.**

ახალგაზრდულის საზეიმო გახსნა

ფრუნზეს სახელობის დივიზიის ბანაკში

30 ივლისს საქ. პროფსაბჭო, ტფ. რაიონის საშენო კომისარიატთან და თავდაცვა-ავიაქიმთან ერთად, ატარებს 1911 წ. დაბადებული ახალწვეულთა საზეიმო გასვლას შე-2 ქორთ. მსრ. ამხ. ფრუნზეს სახელობის დივიზიის ბანაკში.

30 ივლისს დილის 7 საათიდან რაიონების მიხედვით ახალწვეულები შეკრებებიდან რაიკომებთან. 9 საათისთვის ყველა რაიკომებიდან ახალწვეულები ერთად ატარებენ კონცერტს ბანაკში.

გ ა ს წ ო რ ე ბ ა

„კომუნისტი“-ს გუშინდელ ნომერში მოთავსებულ, 26 კომუნარის საბ. ქარხნის პირველი პარტ-ტექნიკური კონფერენციის ანგარიშში დაშვებულია კორექტურული შეცდომა, რომელიც ანის ამბინჯებს; პირველი სვეტის შეოთხე აბზაცში წერია: „წელს ტფილისში დაარსდა კაცკასიის ოერონტის ავტო-სარემონტო სახელოსნო...“, უნდა იყოს: „1915 წელს ტფილისში დაარსდა“... და სხვ.

ა ვ ა რ ი ა

ქ. ტფილისის ლომბარდის მუშა-მოსამსახურენი თანაგრძნობას უცხადებენ ამავე ლომბარდის თანამშრომელს ვარლამ პაპავას მისი მამის

პ ო რ ფ ი რ ე ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს - ძ ე პ ა პ ა ვ ა ს

გარდაცვალების გამო. დასაფლავება ქ. სამტრედიაში. 457

ს. ა. დიშელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები.

სახის სილამაზის მ ო კ ვ ლ ა

რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუშწყებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეკზემას, აქნეტლას, ჭრიტელს და სხ. ტფილისის, ვაკე, ვერის გაკეთილს, ქრტელის ქ. № 22, ტელეფონი № 3-22.

ტფილისის სამხატვრო ტექნიკუმში მიღების პირობები:

1. პირველ სექტემბრიდან იხსნება ტფილისის სამხატვრო ტექნიკუმი.

2. ტექნიკუმში პირველ კურსზე მიიღებიან 7 წლ. დამთავრებულები (17 წლიდან 20 წლამდე), ხოლო მეორე კურსზე მიიღებიან პედაგოგიურ ტექნიკუმიდან მე-2 კურსის მსმენელები, რომლებსაც აქვთ ხატვის უნარი.

3. ტექნიკუმში შესვლისათვის იწარმოებს გამოცდები: ხატვაში, ქართულ ენაში, საზოგადო მეცნიერებაში, (კლასთა ბრძოლის ისტორიაში), ქიმიაში, ფიზიკაში და მათემატიკაში.

4. ტექნიკუმში შესვლისათვის საჭიროა წარმოდგენილი იქნას საბუთები არსებული წესის მიხედვით.

5. გამოცდები იწარმოებს 15-დან 23 აგვისტომდე. განცხადება მიიღება 10 ივლისიდან 15 აგვისტომდე.

მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 22, სამხატვრო ტექნიკუმის დირექტორი რ. ამირაჯიბი.

454 ტექნიკუმის დირექტორი **რ. ამირაჯიბი.**

კადრების განაწილება მძიმე მრეწ სახკომი ამ-ჰაკ ს. ფ. ს. რ.

ტექნიკური განათლების ა/კ. დაუსწრებელი ინსტიტუტი კოსაძეს ინსტიტუტში სამშენებლო მიღების პირობებს.

მიღება სწარმოებს შემდ. ტექნიკ. სასწავლებელში (IV კონცენტრი), ტექნიკუმში (III კონცენტრი) შემდეგ ფაკულტეტებზე: სამშენებლო, სამთო და ენერგეტიკულზე. საავიაშენებლო ფაკულტეტებზე: ძარღვი, ხოვრები და რუსული სექტორები; სამთოზე და ენერგეტიკულზე: რუსული და ქართული.

ვგულისხმობთ ზემოთ აღნიშნულ ფაკულტეტებზე პირველ რიგში მიიღებიან პრაქტიკოსები, პირები, რომლებსაც უშუალოდ საინჟინრო-ტექნიკური თანამდებობანი, ტექნიკები დამთავრებულ ტექნიკური განათლებით, გამომგონებელნი და მუშები, რომელთაც აქვთ თავიანთ წარმოებაში მუშაობის კარგი მაჩვენებელი.

ინსტიტუტში შემოსვლელთ მოეთხოვებათ გამოცდები:

ა) **შ ა ხ. ტ ე ქ ნ. სასწავლებელში (IV კონცენტრი)**—სახმეცნ, მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში და ენაში (რომელსხედაც სურს ისწავლოს) 9 წლედის ან მუშფაკის კურსით.

ბ) ტექნიკუმში (III კონცენტრი)—იმავე 5 საგანში 7-წლედის პროგრამით.

მიღება სწარმოებს, როგორც ინდივიდუალური განცხადებებით, აგრეთვე ქარხნების სამმართველოების კადრების განყოფილებების მიმართვით: ა) სახ. სამმ. უმაღ. სასწავ-ების ცენტრალიზაციაქმნილ ფონდის ანგარიშზე (მ. მ. ს. კ. კადრებისათვის). ბ) დანარჩენი სახკომებისათვის სახელმწიფო და სახოგადო ორგანიზაციებისათვის სამეურნეო ანგ.-შით) გ) თვით მოსწავლეთა ხარჯზე—მ. მ. ს. კ. და სხვა სახკომების კადრებისათვის.

სასწავლო გადასახადი:

ა) მე-IV—კონცენტრი—334 მ. წელიწადში, ბ) მე-III—კონც.—233 მ. წელიწადში.

ა/კ. ტექნიკური განათლების დაუსწრებელ ინსტიტუტის კურს დამთავრებულთა უფლებები.

სტუდენტებმა, რომლებმაც შეასრულეს სასწავლო გეგმის ყველა მოთხოვნილებანი, ლაბორატორიის პრაქტიკის განვლით, საწარმოო პრაქტიკით და კვალიფიციურ კომისიაში სადიპლომო შრომის დაცვით, მიიღებენ უფლებებს როგორც მ. მ. კ. ს. სტაციონალურ ინსტიტუტებში კურს დამთავრებულნი, ა/კ. დაუსწრებელ ტექნიკურ განათლების ინსტიტუტში შემსვლელნი ადგენენ შემდეგ სახეობებს: 1) განცხადება-ანკეტა, შემოშვებული წარმოება-ორგანიზაციის სამეულით, 2) მივლინების სახეობით წარმოებისაგან მოვლინებულთათვის, ინდივიდუალურ პირთათვის ვალდებულება სწავლის ჭირის შესახებ, რომელთაც სურთ სწავლა თავიანთ ხარჯზე, 3) სახეობები განათლების შესახებ ან დადასტურებული ასლები, 4) ორი შემოწმებული ფოტო-სურათი. განცხადებების მიღება სწარმოებს ა/კ. ტ. გ. დ. დ. ინსტ-ში (ტფილისი, რუსთაველის პროსპ. № 36, მესამე სართული, ოთახი № 6, სალამოს 4 საათიდან 10-მდე. და მის განყოფილებაში—ერევანი, მმს კ-ის კადრების სექტორში.

განცხადებების მიღების ვადა ა/წ. 15 აგვისტომდე.

421 **ა/კ. ტექნ. გან. ინსტ-ტის დირექცია.**

ტფილისის სამხატვრო ტექნიკუმში მიღების პირობები:

1. პირველ სექტემბრიდან იხსნება ტფილისის სამხატვრო ტექნიკუმი.

2. ტექნიკუმში პირველ კურსზე მიიღებიან 7 წლ. დამთავრებულები (17 წლიდან 20 წლამდე), ხოლო მეორე კურსზე მიიღებიან პედაგოგიურ ტექნიკუმიდან მე-2 კურსის მსმენელები, რომლებსაც აქვთ ხატვის უნარი.

3. ტექნიკუმში შესვლისათვის იწარმოებს გამოცდები: ხატვაში, ქართულ ენაში, საზოგადო მეცნიერებაში, (კლასთა ბრძოლის ისტორიაში), ქიმიაში, ფიზიკაში და მათემატიკაში.

4. ტექნიკუმში შესვლისათვის საჭიროა წარმოდგენილი იქნას საბუთები არსებული წესის მიხედვით.

5. გამოცდები იწარმოებს 15-დან 23 აგვისტომდე. განცხადება მიიღება 10 ივლისიდან 15 აგვისტომდე.

მისამართი: ტფილისი, გრიბოედოვის ქუჩა № 22, სამხატვრო ტექნიკუმის დირექტორი რ. ამირაჯიბი.

454 ტექნიკუმის დირექტორი **რ. ამირაჯიბი.**

უმაღ. გან. მათემატ. ქმნ. ინსტ-ტებს

ამზად. მოსწავლეებს უნიფორს. ინსტ. მუშფ. ტიპნიკ. მისაღებ. გამოცდებ. 7 წლ. და 10 წლ. ყველა ჯგუფებისათვის და მოწმობაზე. ასწორებს აგრეთვე სუსტ მოწაფეებს. პლეშაკოვ. პრ. № 25, შესავალი ალექს. ქ. № 5. ნახვა 7—11 ს. 2—8 ს. 380

კბილის ექიმი
დ. ხ. რიქინაშვილი

კბილის და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები. კბილების უმტკივნეულოდ ამოღება ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა. ავადმყოფ. მიღება 10—3 საათ. და 5—7 ს. მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34, რუსთაველის გამზ. კუთხე. 5—10-2

უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პირობები

სახ. კ. პ. (ბ) ცკ-ას კულტპროპისა და განსახკომის მიერ მიღებულია ადგილები საბჭოთა რუსეთის, აზერბაიჯანის და სომხეთის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში:

1. ამხ. ნ. პოკროვსკის სახელობის მოსკოვის პირველ სახელმწიფო უნივერსიტეტში (როგორც უნივერსიტეტში, აგრეთვე ასპირანტურაში ჩასარიცხავად).

2. ლიბკნეხტის სახელობის მოსკოვის ინდუსტრიალურ-პედაგოგიურ ინსტიტუტში.

3. სახოვადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების მოსკოვის კომუნისტურ უნივერსიტეტში.

4. ბუბნოვის სახელობის მოსკოვის პედინსტიტუტში.

5. გერცენის სახელობის ლენინგრადის პედინსტიტუტში

6. ბუბნოვის სახელობის ლენინგრადის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

7. მოსკოვის ისტორიულ-ფილოსოფიურ ინსტიტუტში.

8. ლენინგრადის ისტორიულ-ლიტერატურ ინსტიტუტში.

10. აზერბაიჯანის პედინსტიტუტში.

11. სოხუმის პედინსტიტუტში.

12. საბჭოთა აღმოსავლეთის ეროვნულ უმცირესობათა კურსებზე (ლენინგრადში).

წარმოებებმა, დაწესებულებებმა და რაიონებმა ზემოდ აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებლებში მისავლინებელ კანდიდატთა საბუთები უნდა წარმოადგინონ განსაზღვრებით 5 აგვისტოსა. მიღების პირობების (პროფილების, მატერიალური უზრუნველყოფის და სხვა საჭირო ცნობების) გაგება შეიძლება ყოველდღე განსაზ. კადრების სექტორში (ოთ. № 12) ამხ. ა. გონიაშვილთან.

სახ. კ. პ. (ბ) ცკ-ას კულტპროპის კადრ. სექტორი. განსახკომის კადრების სექტორი.

სახ. სააღმ. კოოპერ. ამხ-ბა „ვაკე“-ს წევრების საყურადღებოთ ცნობა,

რომ 29 ივლისს, საღამოს 5 საათზე, საბავშვო ბაღის შენობაში (კლუბში) მოწვეულია

ამხ-ბის წევრთა საერთო კრ